ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

# ო ქ მ ი N7

**სხდომის ჩატარების დრო:**

**29 ივნისი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომის დარბაზი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.**

**სხდომას ესწრებოდნენ:** საბჭოს წევრები: მანანა ჩიხლაძე, თეა ჯუღელი , მაია სიმონიძე, მარეხი ნიჟარაძე, ხათუნა არველაძე, ელეონორა არჩაია, თამარ დახუნდარიძე, გრიგოლ შუშანია , მაკა ცერცვაძე, ნანა რობაქიძე, ლანა თოთაძე , ლარისა შენგელია, ასმათ ჯანგავაძე, თინათინ გელხვიიძე, ია მაჩიტიძე, თინათინ ბერიშვილი.

**არ ესწრებოდნენ:** მამუკა რიჟამაძე , ბაქარი მახარაძე, ქეთევან ხურციძე, ნინო ჩიკვაშვილი, ქეთევან ციბაძე, მაია ყუფარაძე, ნოდარ ჯიქია, მერი გელაშვილი, ფიქრია ხაჭაპურიძე,მაკა აბულაძე.

**მოწვეული სტუმრები :** გიზო ბანძელაძე, ბელა მშვილდაძე, მირანდა ხეცურიანი.

სხდომაზე წარდგენილი იყო დღის წესრიგი, რომელიც შვიდი საკითხისგან შედგებოდა:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა დამატება;

2. 2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მიმოხილვა;

3. ქალთა ეკონომიური გაძლიერება – საინფორმაციო შეხვედრები; საგრანტო კონკურსის თემატიკისა და პირობების განსაზღვრა;

4. საინფორმაციო კამპანია – ვიდეო რგოლის თემატიკის განსაზღვრა;

5. შშმ ქალთათვის ადაპტიირებული გინეკოლოგიური კაბინეტი – სერვის მოდელის განსაზღვრა / დისკუსია;

6. მუნიციპალური პროგრამების გენდერული აუდიტი/კვლევა, კვლევის ტექნიკური დავალების განსაზღვრა;

7. საერთაშორისო დღეები – გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტივობების განსაზღვრა;

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ, რომელმაც დღის წესრიგი დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს წევრებს.

დღის წესრიგი, საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული, ამის შემდეგ ქალბატონმა მაგდამ სხდომის წევრებს წარუდგინა გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი წევრი თინათინ ბერიშვილი.

ქალბატონმა მაგდამ სხდომის მონაწილეებს ამცნო : რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა : ფიქრია ხაჭაპურიძემ , პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს საბჭო.

გენდერული საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების საფუძველზე ქალბატონმა მაგდა კოსტავამ , საბჭოს წევრებს წარუდგინა საბჭოს წევრობის სამი კანდიდატი :

გიზო ბანძელაძე - ბარ რესტორანი „სახლში“ დამფუძვნებელი.

ბელა მშვილდაძე -35ე საჯარო სკოლის პედაგოგი.

მირანდა ხეცურიანი - ავეჯის სახლი „ნიტას'' დირექტორი.

საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა მათი კანდიდატურები დამტკიცებული. ამ შეთანხმებით დღის წესრიგის პირველი საკითხი დასრულდა .

ამის შემდგომ მაგდა კოსტავამ დაიწყო მეორე საკითხის განხილვა და 2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მიმოხილვა;

„ ქალთა ეკონომიური გაძლიერება ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის ერთ ერთი პრიორიტეტია , ამ მიზნით ვგეგმავთ რომ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩავატაროთ შეხვედრები მოსახლეობასთან , რომელზეც მოწვეული გვეყოლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, კოლეჯ „იბერიას“ წარმომადგენელი და ისინი წარუდგენენ მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ პროგრამების შესახებ სრულ ინფორმაციას“. - მაგდა კოსტავა

ამის შემდგომ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ სიტყვა გადასცა გენდერული საბჭოს მოწვეულ სპეციალისტს ნინო გოლეთიანს რათა ვრცლად ესაუბრა აღნიშნული საკითხის ირგვლივ .

ნინო გოლეთიანმა აღნიშნა რომ : „ საორგანიზაციო საკითხები სრულად მოწესრიგებულია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან მოლაპარაკების შედეგად გამოყოფილი არის წარმომადგენელი: პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ოკრიბელაშვილი , რომელიც აქტიურად იქნება ჩართული მუნიციპალიტეტებთან შეხვედრებში, კოლეჯ იბერიას წარმომადგენელი თამარ მანაგაძე , ვფიქრობთ რომ მოსახლეობისთვის ინფორმაციული და დროული იქნება აღნიშნული შეხვედრები რადგან უფასო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია მიმდინარეობს ამ ეტაპზე და გრძელდება 10 სექტემბრის ჩათვლით. „

ქალბატონმა თამარ დახუნდარიძემ გამოთქვა მოსაზრება , რომ ამ შდეხვედრებში ჩაერთოთ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი ეკა ლეჟავა , რომელიც წარადგენს შრომის ბაზარზე არსებულ დასაქმების პერსპექტივებს. ამ შეთანხმებით საკითხის განხილვა დასრულდა.

ქალბატონმა მაგდა კოსტავამ დაიწო მესამე საკითხის განხილვა : „ქალთა ეკონომიური გაძლიერების ფარგლებში გვინდა გამოვაცხადოთ საგრანტო კონკურსი, ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალბატონებს რომლებიც ხელსაქმით არიან დაკავებული დავეხმაროთ ,გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტიდან კონკრეტული თანხით, ამ საგრანტო კონკურსით ხელს შევუწყობთ ქალთა ეკონომიურ განვითარებას და წავახალისებთ მათ, ჩვენი მხრიდან იქნება ასეთი მესიჯი ნაკლებმა ახალგაზრდამ დატოვოს ქალაქი და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. ეს იდეა გამომაქ განსახილველად და გთხოვთ თქვენი აზრი გამოთქვათ აღნიშულთან დაკავშირებით “.

საბჭოს რამოდენიმე წევრმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, მსჯელობისა და დისკუსიის შედეგად შეთანხმდნენ რომ ფორმირდეს შიდა სამუშაო ჯგუფი ,რომელიც შეიმუშავებს საგრანტო

კონკურსის სახელმძღვანელო დოკუმენტს და მომდენო სხდომაზე წარუდგენს საბჭოს წევრებს. საგრანტო პროექტზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა :მაკა ცერცვაძე , ლანა თოდაძე , ლელა შენგელია , თეკლა დახუნდარიძე, მაია ყუფარაძე აღნიშნული შემადგენლობით.

სხდომა გაგრძელდა მეოთხე საკითხის განხილვით საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ვიდეო რგოლის თემატიკის განსაზღვრის ირგვლივ, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით : მანანა რობაქიძე, გიზო ბანძელაძე, ლანა თოდაძე, მაგდა კოსტავა. ჯგუფმა უნდა იმუშაოს ვიდეო რგოლის თემატიკის ირგვლივ და წარადგინოს რამოდენიმე თემა მომდევნო სხდომაზე წარსადგენად.

მაგდა კოსტავამ დაიწყო მეხუთე საკითხის განხილვა , „ შშმ ქალთათვის ადაპტირებული გინეკოლოგიური კაბინეტის შექმნის ინიციატივა გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით , აღნიშნულთან დაკავშირებით დავუკავშირდით რამოდენიმე ორგანიზაციას გავდივართ კონსულტაციებს გინეკოლოგებთან , მოვიაზრებთ რომ ჩვენი ბიუჯეტიდან გამოვყოთ თანხა რომლითაც შევიძენთ შშმ პირთათვის ადაპტირებულ გინეკოლოგიურ სავარძელს ხოლო რომელ მუნიციპალურ პოლიკლინიკაში იქნება მისი განთვსება და შემდგომ გამოყენების უზრუნველყოფა შესაძლებელი ამ საკითხებს გავივლით ქალბატონ თეკლასთან ერთად მერიის შესაბამის სამსახურებთან და უახლოეს პერიოდში მოგაწვდით ინფორმაციას “ .

სხდომა გაგრძელდა მეექვსე საკითხის განხილვით , მაგდა კოსტავამ წარადგინა ინიციატივა მუნიციპალური პროგრამების გენდერული აუდიტი , კვლევის ჩატარების შესახებ. აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს საბჭოს წევრებმა.

მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით სხდომის წევრების საერთო მოსაზრებით გადაწყდა რომ საერთაშორისო დღეების აღნიშვნის მიზნით , გენდერულმა თანასწორობის საბჭომ უნდა განახორციელოს აქტივობები . გამოყოფილ იქნა საერთაშორისო დღეები: 25 ნოემბერი , 3 დეკემბერი , 10 დეკემბერი . აღნიშნულ თარიღებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები უნდა იქნას განსაზღვრული მოდევნო სხდომებზე .

**ამით გენდერული საბჭოს მეექვსე სხდომამ მუშაობა დაასრულა**

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... ქალაქ ქუთაისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საკითხების მოწვეული სპეციალისტის ნინო გოლეთიანის მიერ.